



დაბა მესტიაში ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და
ფოლკლორის თეატრის (მესტიის მუნიციპალიტეტი)
რეაბილიტაცია

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და
გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ

დეკემბერი, 2015

გარემოსდაცვითი სკრინინგი

ქვე-პროექტი ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში, კერძოდ დაბა მესტიაში ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრის რეაბილიტაციას. არსებული შენობა წარმოადგენს გასული საუკუნის 80-იან წლებში აშენებულ ორსართულიან ნაგებობას (ფართობი 806,3 მ²), რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს.

ქვე-პროექტის ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს:

- მულტიფუნქციური ფოიეს, დარბაზისა და სველი წერტილების რეაბილიტაცია და გაფართოება. ასევე, მოეწყობა კაფე, ადმინისტრაციის ოფისი, სარეკვიზიტო, საგრძნობრო, სამრეცხაო ოთახები. მეორე სართულზე განთავსდება სარეპეტიციო სივრცე და გარდერობი, ხოლო შენობის მინაშენში - სასტუმრო 6 ნომრით. დარბაზი გათვლილია 208 ადგილზე. დარბაზი და სცენა (97,54მ²) აღიჭურვება ყველა საჭირო ტექნოლოგიური მოთხოვნის გათვალისწინებით. მულტიფუნქციური დარბაზი გაფართოვდება 50 მ², ხოლო კაფე დაუკავშირდება ტერასას, სადაც სეზონის შესაბამისად მოეწყობა ღია ცის ქვეშ კვების ობიექტი.
- საქვებისათვის 26,5მ² ფართის მიშენება ჩრდილოეთის მხარეს.
- შენობის აღმოსავლეთ მხარეს არსებული სივრცის გაფართოება 11 მ²-ით და მეორე სართულის დაშენება, სადაც განთავსდება სასტუმრო 6 ნომრით. საბოლოო ჯამში დამატებითი ფართობი შეადგენს 211,2 მ², საიდანაც 37,5მ² მდებარეობს მიწაზე.
- არსებულ შენობაში იატაკების (ხის, ქვის), ფანჯრების, კარების, ტიხრების, ჭერის, სახურავის მთლიანი დემონტაჟი. შენობა ამჟამად გადახურულია ბიტუმის კრამიტით;
- მთელ შიდა ფართზე ქვიშა-ცემენტის მოჭიმვის მოწყობა. სველი წერტილები, ფოიე, ვერანდები და კიბის უჯრედი მოპირკეთდება კერამიკული გრანიტის ფილებით. დანარჩენ ფართზე გათვალისწინებულია რბილი და ლამინირებული იატაკის მოწყობა;
- ტიხრების მოწყობა თაბაშირ-მუყაოს ორმაგი ფილებით, ყველა არსებული კედლის მოპირკეთება თაბაშირ-მუყაოს ფილებით, ღებვა წყალ-ემულსიის საღებავის გამოყენებით; მოპირკეთება დეკორატიული ქვით;
- ხის კიბეების მოწყობა;
- ხის ახალი ფანჯრებისა და ლითონისა და ხის კარების მოწყობა;
- თაბაშირ-მუყაოს ჭერის მოწყობა ყველა სათავსოში;
- არსებული ქვის ფასადის გაწმენდა, ასევე არსებულის და ახალი კედლების მოპირკეთება დეკორატიული ქვით, ტრავერტინით და ხის მასალით;
- ახალი სახურავის მოწყობა ბიტუმის კრამიტით;
- გათბობა-გაგრილების სისტემების ინსტალაცია. შენობის გათბობა მოხდება ელექტროენერგიით (ასევე გათვალისწინებულია თხევად საწვავზე მომუშავე სარეზერვო ქვაბი), გაგრილება მოხდება სპლიტ სისტემის კონდიციონერებით;

- წყლისა და საკანალიზაციო სისტემების შეცვლა.
- გარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. გარე ტერიტორიაზე მოეწყობა ქვაფენილი, ხის და ნაწილობრივ ბეტონის ღობე, რომელიც მოპირკეთდება ტრავერტინით. გათვალისწინებული ავტოსადგომის მოწყობა, მათ შორის უნარშეზღუდული პირებისათვის.

შენობა მიერთებულია მუნიციპალურ წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემებთან.

მიწის ნაკვეთი (ფართობი - 1348 კვ.მ), რომელზეც განთავსებულია თეატრი არის მუნიციპალური საკუთრება. საქვებისათვის მინაშენი თავსდება აღნიშულ ტერიტორიაზე.

ამჟამად თეატრის ადმინისტრაცია დროებით განთავსებულია სხვა დაწესებულებაში. ა(ა)იპ „მესტიის კულტურის სამსახურის“ ინფორმაციით თეატრში დასაქმებულია 94 ადამიანი. ამჟამადაც და თეატრის რეაბილიტაციის პერიოდში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ა) ზემოქმედების დადგენა

<p>აქვს თუ არა ქვე-პროექტს რაიმე ტიპის მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>მოსალოდნელია, რომ ქვე-პროექტს ექნება საშუალო დონის ნეგატიური გავლენა არსებულ გარემოზე.</p> <p>ძირითადი გავლენა მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების პროცესში, რომელის მიზანია არსებული ძველი შენობების რეაბილიტაცია და გაფართოება. გამომდინარე იქიდან, რომ სარეაბილიტაციო ობიექტი მდებარეობს მოდიფიცირებულ გარემოში, სამშენებლო სამუშაოების გავლენა გარემოზე იქნება დროებითი და უმნიშვნელო (ხმაური, მტვერი სამშენებლო ნარჩენი, საგზაო მოძრაობის შეფერხება და ხელმისაწვდომობა). ექსპლოატაციის დროს წარმოქმნილი მყარი ნარჩენებისა სწორი მენეჯმენტით შესაძლებელია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება.</p> <p>მოსალოდნელია, რომ ქვე-პროექტს ექნება გრძელვადიანი პოზიტიური გავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.</p>
<p>რა მნიშვნელოვანი დადებითი და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედება ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?</p>	<p>პროექტს ექნება გრძელვადიანი დადებითი სოციალური გავლენა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სახით.</p>

	<p>უარყოფითი გავლენა არსებულ გარემოზე შესაძლოა იყოს მოკლევადიანი და დამახასიათებელი საშუალო დონის სამშენებლო სამუშაოებისთვის შერეული ტიპის ლანდშაფტის პირობებში, ეს გავლენა შესაძლოა იყოს: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია და სამშენებლო დანადგარების მუშაობის შედეგად წარმოქმნილი გამონაბოლქვი, სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა.</p> <p>შემდგომი გავლენა დაკავშირებულია თეატრის მოვლა-პატრონობასთან: ნარჩენებისა და საკანალიზაციო წყლების წარმოქმნასთან.</p>
<p>შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?</p>	<p>ქვე-პროექტს შესაძლოა ჰქონდეს ხანგრძლივი დადებითი სოციალური გავლენა, იმდენად რამდენადაც პროექტის განხორციელების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ახალი კომფორტული თეატრით, სადაც გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, იფუნქციონირებს ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლი, ასევე ფოლკლორისა და ხალხური რეწვის წრეები. ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში გაზრდის მესტიის ტურისტულ მიმზიდველობას.</p> <p>ასევე მოსალოდნელია შეზღუდული და მოკლევადიანი სოციალური გავლენა, რომელიც უკავშირდება ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მშენებლობის პერიოდში დასაქმების შესაძლებლობის არსებობას .</p> <p>ნეგატიური გავლენა იქნება შეზღუდული და მოკლევადიანი და დაკავშირებულია ზემოთ აღწერილ შემაწუხებელ გარემოებებთან.</p> <p>მიწის ნაკვეთი (ფართობი - 1348 კვ.მ), რომელზეც განთავსებულია თეატრი არის მუნიციპალიტეტის საკუთრება (იხ. თანდართულ საკადასტრო ინფორმაცია).</p> <p>თეატრის შენობა მდებარეობს მესტიის ერთ-ერთი უძველესი უბნის - ლაჩვანის დასაწყისში, რომელიც ახლახან იქნა რეაბილიტირებული და წარმოადგენს ერთ-ერთ საინტერესო ადგილს ტურისტებისთვის. თეატრის რეაბილიტაციის სამუშაოებმა შესაძლოა</p>

	გამოიწვიოს გარკვეული დისკომფორტი ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტებისათვის, რაც შესაძლოა თავიდან იქნას აცილებული სამუშაოების განრიგისა და ტრანსპორტის გადაადგილების შესაბამისი დაგეგმვით.
--	---

(ბ) შემარბილებელი ღონისძიებები

რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას?	მოცემული ქვე-პროექტისთვის ალტერნატივის განხილვა არ მომხდარა, ვინაიდან ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია არსებული შენობის რეაბილიტაცია.
რა ტიპის შემამსუბუქებელი ზომებია შემოთავაზებული?	ქვე-პროექტისთვის შემუშავებული იქნა შემარბილებელი ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია პოტენციური ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილება ან მინიმუმამდე შემცირება. მშენებელი კონტრაქტორი იქნება პასუხისმგებელი წარმოქმნილი ნარჩენების განთავსებაზე წინასწარ შეთანხმებულ ტერიტორიაზე, კონტრაქტორი ვალდებულია ნარჩენები განათავსოს წინასწარ შეთანხმებულ ადგილას, ლიცენზირებული კარიერებიდან მშენებლობისას გამოიყენოს ის მასალები, რომლებიც მოწოდებული იქნება ლიცენზიის მქონე ქარხნიდან, კარიერებიდან და მადაროებიდან. თავიდან აიცილოს წყლისა და ნიადაგის დაბინძურება (მანქანა -დანადგარების დაზიანების შედეგად დაღვრილი საწვავით, ასფალტ/ბეტონით), მინიმუმამდე დაიყვანოს განრიგის შესაბამისად მუშაობით, სატრანსპორტო მოძრაობის სწორი მენეჯმენტით, სამშენებლო მანქანა-დანადგარების სწორი მოვლა-პატრონობით ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემაწუხებელი ფაქტორების (ხმაური, მტვერი, ემისიები) არსებობა.
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს აქვს შენობების რეაბილიტაციასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული საშუალო და დიდი ზომის ქვე-პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება, რომლებიც ხორციელდება დონორი

	<p>ორგანიზაციების მხარდაჭერით. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ქვე-პროექტი ითვალისწინებს არამართო შენობის რეაბილიტაციასა და გაფართოებას, არამედ გათბობა-გაგრილების, შიდა წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემების მოწყობას, ასევე, ავტოსადგომის მოწყობას, მათ შორის უნარშეზღუდული პირებისათვის.</p>
<p>ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?</p>	<p>ქვე-პროექტის განხორციელების იდეა ჩამოყალიბდა მესტიის მუნიციპალიტეტსა და საკრებულოს შორის კონსულტაციების შედეგად და ამჟამად არსებული სიტუაციის გათვალისწინების გზით. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა ჩატარდა 2015 წლის 22 დეკემბერს. საჯარო განხილვის ოქმი თან ერთვის.</p>

(C) კატეგორიზაცია

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციის OP/BP 4.01 შესაბამისად ქვე-პროექტი კლასიფიცირებული იქნა როგორც კატეგორია B და საჭიროებს გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის შევსებას მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებისათვის.

სოციალური სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	✓	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, სამოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		✓
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად)?		✓
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბელელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		✓
<p>თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.</p>			

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები	
ქვეყანა	საქართველო
ქვე-პროექტის დასახელება	ლენტეხის მუნიციპალიტეტში ხიდების რეაბილიტაცია და მშენებლობა
ქვე-პროექტის დასახელება	მესტიის თეატრის რეაბილიტაცია
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	<p>ქვე-პროექტის ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მულტიფუნქციური ფოიეს, დარბაზისა და სველი წერტილების რეაბილიტაცია და გაფართოება. ასევე, მოეწყობა კაფე, ადმინისტრაციის ოფისი, სარეკვიზიტო, საგრძნობო, სამრეცხაო ოთახები. მეორე სართულზე განთავსდება სარეპეტიციო სივრცე და გარდერობი, ხოლო შენობის მინაშენში - სასტუმრო 6 ნომრით. დარბაზი გათვლილია 208 ადგილზე. დარბაზი და სცენა (97,54მ²) აღიჭურვება ყველა საჭირო ტექნოლოგიური მოთხოვნის გათვალისწინებით. მულტიფუნქციური დარბაზი გაფართოვდება 50 მ², ხოლო კაფე დაუკავშირდება ტერასას, სადაც სეზონის შესაბამისად მოეწყობა ღია ცის ქვეშ კვების ობიექტი. - მოხდება საქვავის (26,5მ²) გაფართოება ჩრდილოეთის მხარეს. - მოხდება შენობის აღმოსავლეთ მხარეს არსებული სივრცის გაფართოება 11 მ²-ით და 6 ოთახის მქონე სასტუმროს მშენებლობა. საბოლოო ჯამში დამატებითი ფართობი შეადგენს 211,2 მ², საიდანაც 37,5მ² მდებარეობს მიწაზე. - არსებულ შენობაში იატაკების (ხის, ქვის), ფანჯრების, კარების, ტიხრების, ჭერის,

	<p>სახურავის მთლიანი დემონტაჟი. შენობა ამჟამად გადახურულია ბიტუმის კრამიტით;</p> <ul style="list-style-type: none"> - მთელ შიდა ფართზე ქვიშა-ცემენტის მოჭიმვის მოწყობა. სველი წერტილები, ფოიე, ვერანდები და კიბის უჯრედი მოპირკეთდება კერამიკული გრანიტის ფილებით. დანარჩენ ფართზე გათვალისწინებულია რბილი და ლამინირებული იატაკის მოწყობა; - ტიხრების მოწყობა თაბაშირ-მუყაოს ორმაგი ფილებით, ყველა არსებული კედლის მოპირკეთება თაბაშირ-მუყაოს ფილებით, ღებვა წყალ-ემულსიის საღებავის გამოყენებით; მოპირკეთება დეკორატიული ქვით; - ხის კიბეების მოწყობა; - ხის ახალი ფანჯრებისა და ლითონისა და ხის კარების მოწყობა; - თაბაშირ-მუყაოს ჭერის მოწყობა ყველა სათავსოში; - არსებული ქვის ფასადის გაწმენდა, ასევე არსებულის და ახალი კედლების მოპირკეთება დეკორატიული ქვით, ტრავერტინით და ხის მასალით; - ახალი სახურავის მოწყობა ბიტუმის კრამიტით; - გათბობა-გაგრილების სისტემების ინსტალაცია. შენობის გათბობა მოხდება ელექტროენერგიით (ასევე გათვალისწინებულია თხევად საწვავზე მომუშავე სარეზერვო ქვაბი), გაგრილება მოხდება სპლიტ სისტემის კონდიციონერებით; - წყლისა და საკანალიზაციო სისტემების შეცვლა. - გარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. გარე ტერიტორიაზე მოეწყობა ქვაფენილი, ხის და ნაწილობრივ ბეტონის ღობე, რომელიც მოპირკეთდება ტრავერტინით. გათვალისწინებული ავტოსადგომის მოწყობა, მათ შორის უნარშეზღუდული პირებისათვის. 	
<p>ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)</p>	<p>ჯგუფის ხელმძღვანელი: შაოლან ვანგი</p>	<p>უსაფრთხოების სპეციალისტი:</p>

	დარეჯან კაპანაძე		
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერეთული: მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: საკონსულტაცი ო კომპანია Eptisa Servicios de Ingenieria S.L. Spain	სამუშაოთა კონტრაქტორ ი (შესარჩევია)
ადგილმდებარეობის აღწერა			
ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	მესტიის მუნიციპალიტეტი		
ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი	1, სეტის ბაღი, მესტია ტელ: (+995) 599 85 55 54 ელ-ფოსტა: gamgeobamestia@rambler.ru gamgeobamestia@yahoo.com სარეაბილიტაციო ობიექტი-მესტიის თეატრი მდებარეობს მესტიაში, რომელიც წარმოადგენს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ადმინისტრაციულ ერთეულს. ობიექტი თბილისიდან დაშორებულია 460 კმ-ით.		
ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)	მიწის ნაკვეთი (ფართობი - 1348 კვ.მ), რომელზეც განთავსებულია თეატრი არის მუნიციპალიტეტის საკუთრება.		
ტერიტორიის ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი	მესტიის მუნიციპალიტეტს უჭირავს მდ. ენგურის აუზის ზედა ნაწილი. მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორია წარმოადგენს 3,044.5 კმ ² . რეგიონის მოსახლეობა შეადგენს 13 898 ადამიანს. ეკონომიკა ძირითად ეფუძნება სოფლის მეურნეობას. მეცხოველეობა, მარცვლეულისა და ბოსტნეულის(ძირითადად კარტოფილის) მოყვანა და მეტყვეობა არის ძირითადად განვითარებული რეგიონში. მესტია წარმოადგენს ტურისტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ადგილს ქვეყანაში, მისი მდიდარი კულტურული, ბუნებრივი და ისტორიული ფასეულობიდან გამომდინარე. ხოლო ქალაქი მესტია ბოლო პერიოდში კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა ზამთრის სპორტული კურორტის გამო. ახალი აეროპორტი გაიხსნა მესტიაში და ყოველდღიურად ფრენა შესაძლებელია თბილისიდან. გზა ზუგდიდიდან (რეგიონული ცენტრიდან) მესტიაში არის მთლიანად რეაბილიტირებული და		

	<p>მომასწავლებელი, რაც საშუალებას აძლევს თბილისიდან მესტიამდე მგზავრობის 7 საათამდე .</p> <p>მესტიის კინოთეატრის შენობა აშენებულია გასული საუკუნის 80 -იან წლებში. 90-იანი წლებიდან კინოთეატრი აღარ ფუნქციონირებს. თეატრის შენობა მდებარეობს მესტიის ერთ-ერთი უძველესი უბნის - ლაჩვანის დასაწყისში, რომელიც ახლახან იქნა რეაბილიტირებული და წარმოადგენს ერთ-ერთ საინტერესო ადგილს ტურისტებისათვის. შენობის გარშემო არის კერძო სახლები და ნაკვეთები, ერთი მხრიდან ესაზღვრება მცირე ზომის სკვერი. არსებული შენობა ორსართულიანი, უმეტესწილად აგებულია რიყის ქვით, ასევე ბლოკით, გადახურულია ბიტუმის კრამიტით. დღეის მდგომარეობით შენობა უვარგისია ექსპლუატაციისათვის. თეატრისადმინისტრაცია დროებით განთავსებულია სხვა დაწესებულებაში. რეაბილიტაციის შემდგომ დაგეგმილია შენობაში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების გამართვა. აქ იფუნქციონირებს ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლი „რიჰო“, ასევე ხალხური რეწვისა და ფოლკლორის შემსწავლელი წრეები. თეატრის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს მესტიის ტურისტული მიმზიდველობის გაუმჯობესებას.</p>
<p>მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან?</p>	<p>წყალი ხელმისაწვდომია სამშენებლო ტერიტორიაზე მუნიციპალური წყალ მომარაგების სისტემის მეშვეობით.</p> <p>მანძილი ლიცენზირებულ კარიერამდე არის 7კმ, ხოლო საპროექტო ზონიდან უახლოესს ნაგავსაყრელამდე არის 1,6კმ.</p>
კანონმდებლობა	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც დაბალ რისკიანი B კატეგორიის პროექტი.</p> <p>მუნიციპალური განვითარების ფონდს ქვე-პროექტი ოფიციალურად წარუდგინა ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა დაფინანსების მოთხოვნის მიზნით და გააცნო მას პროექტის განხორციელების საჭიროება და პრიორიტეტულობა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას:</p> <p>(i) სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან;</p>

	<p>(ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა);</p> <p>(iii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა), ასევე, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისთვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა);</p> <p>(iv) მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან;</p> <p>(v) სამშენებლო ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს უახლოეს არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე.</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების (საჭიროების შემთხვევაში), ასფალტის/ბეტონის ქარხნების (საჭიროების შემთხვევაში) მუშაობისთვის საჭირო ნებართვების და ნარჩენების გატანის შესახებ შეთანხმების ასლები მშენებელმა კონტრაქტორმა უნდა წარუდგინოს მგფ-ს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.</p> <p>აუცილებელია სახელმწიფო სტანდარტის (GOST), სამშენებლო ნორმებისა და წესების (SNIP) გათვალისწინება..</p>
საჯარო კონსულტაცია	
<p>სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?</p>	<p>გარემოს დაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა ჩატარდა 2015 წლის 23 დეკემბერს. შეხვედრის ოქმი თან ერთვის.</p>
დანართები	
<p>დანართი 1: ობიექტის გეგმა, სურათები და ახალი შენობის ესკიზი. დანართი 2: საკადასტრო ინფორმაცია დანართი 3: საჯარო კონსულტაციის ოქმი დანართი 4: შეთანხმება სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე</p>	

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. შენობის რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი B
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი C
	E. მიწის შექმენა ¹	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი D
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები ²	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი E
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი F
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი G
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი H

¹ მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შექმნილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შექმნილ მიწაზე.

² ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
<p>0. ზოგადი პირობები</p>	<p>ინფორმირება და უსაფრთხოება</p>	<p>(a) ინფორმაცია მომავალი სამუშაოების შესახებ მიწოდებული უნდა იქნეს ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის;</p> <p>(b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იქნეს დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით;</p> <p>(c) მოპოვებული უნდა იქნეს მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა;</p> <p>(d) კონტრაქტორი უნდა იქნეს თანახმა, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით;</p> <p>(e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში უნდა იქნეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები);</p> <p>(f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე..</p>
<p>A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები</p>	<p>ჰაერის ხარისხი</p>	<p>(a) დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები უნდა განთავსდეს კონტროლირებად ტერიტორიაზე და მოხდეს მისი წყლით დანაშაუნი მტვრის შემცირების მიზნით.</p> <p>(b) კედლის დემონტაჟის ანდა პნევმატური ბურღვის დროს უნდა მოხდეს მტვრის გავრცელება უნდა შეიზღუდოს ტერიტორიის მუდმივი დანაშაუნი ან/და მტვრისგან დამცავი ბადეების დამონტაჟებით.</p> <p>(c) სამშენებლო ნარჩენები არ უნდა ეყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე (ტროტუარები, გზები) მტვრის მინიმუმამდე დასაყვანად.</p> <p>(d) ობიექტზე არ უნდა მოხდეს სამშენებლო მასალების/ნარჩენების ღიად დაწვა</p> <p>(e) ობიექტებზე არ უნდა ჰქონდეს ადგილი სამშენებლო ტექნიკის უქმ სვლას.</p> <p>(f) სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტვრის წარმოქმნის შემცირების მიზნით.</p>
	<p>ხმაური</p>	<p>(a) სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში</p> <p>(b) ექსპლუატაციის დროს გენერატორების ძრავის სახურავები, ჰაერის კომპრესორები და სხვა მექანიზირებული აღჭურვილობა დაიხურება, ხოლო აღჭურვილობა საცხოვრებელი უბნებიდან შეძლებისდაგვარად შორს უნდა განთავსდეს.</p> <p>(c) მანქანა-დანადგარები მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით უნდა მოძრაობდეს;</p> <p>(d) უნდა დადგინდეს ტრანსპორტი მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე;</p> <p>(e) უნდა მოხდეს მანქანა-დანადგარების სათანადო კონტროლი და მოვლა-პატრონობა;</p> <p>(f) არ უნდა ჰქონდეს ადგილი სამშენებლო და მძიმე ტექნიკის უქმ სვლას და გამოყენებული უნდა იქნეს მაყუჩები.</p>

	წყლის ხარისხი	<p>(a) კონტრაქტორი ვალდებულია, რომ ორგანიზება გაუწიოს და გადახუროს მასალის საწყობები; აღნიშნული საწყობების გადახურვა უნდა მოხდეს წყალგაუმტარი მასალით, ძლიერი წვიმის და წყალდიდობის დროს გამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით, ასევე აუცილებელია ეროზიისა და ნალექების ისეთი მაკონტროლებელი ღონისძიებების გატარება, როგორცაა მაგ.: თივის ზვინები და/ან ლამის შემოღობვები, იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ნალექების სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გადასვლა, რამაც შესაძლოა ზედმეტად ამღვრიოს მახლობლად მდებარე მდინარეები და ნაკადულები;</p> <p>(b) კონტრაქტორი ვალდებულია დაგეგმოს ყველა სახის მიწის სამუშაოები და უზრუნველყოს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და ნიადაგის ქვედა ფენის განთავსება ისე, რომ წყლის ჭარბი ჩამონადენის მოცულობა მინიმუმამდე იქნას შემცირებული</p> <p>(c) კონტრაქტორი ვალდებულია მოახდინოს მოწყობა და შესაბამისი ნორმების დაცვა იმ ტერიტორიაზე, სადაც სამშენებლო მასალებია განთავსებული, რათა არ მოხდეს ნატანის შეჩერება, რომ იგი ობიექტიდან მიმდებარე ნაკადულებსა და მდინარეებში არ ჩაედინოს და არ გამოიწვიოს მათი ამღვრევა</p> <p>(d) აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება ზეთის და საპოხი მასალების გაჟონვის ფაქტის არსებობის/არარსებობის დადგენის მიზნით. ყველა სახის მექანიზმების მოვლა-პატრონობა და მუშაობა უნდა მოხდეს ისე, რომ ყველა სახის გაჟონვა, ან დაღვრა, მინიმუმამდე იყოს შემცირებული; აუცილებელია ყოველდღიური შემოწმება (სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობის პროცედურების შესაბამისად), გაჟონვის, ან რაიმე სახის პრობლემის არ არსებობის დადასტურების მიზნით. სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობა, გასუფთავება, ცხიმისგან გაწმენდა განხორციელდება კონკრეტულ ადგილებში - ბეტონის საფუძველზე და არა დაყრილ გრუნტზე. აღნიშნული მონაკვეთები არ უნდა იყოს განთავსებული მდინარიდან 50 მ მანძილზე</p> <p>(e) საპოხი მასალები, საწვავი და გამხსნელები აუცილებელია განთავსდეს და გამოყენებულ იქნას მექანიზმების მომსახურების მიზნით სპეციალურად მოწყობილ ადგილზე. აუცილებელია, რომ ისეთი მასალები, როგორცაა მაგ. სორბენტი, ქვიშა, ნახერხი, ბურბუშელა და ა.შ. ხელმისაწვდომი იყოს სამშენებლო ტერიტორიაზე დაუშვებელია სველი ცემენტის და/ან ბეტონის ჩაშვება ნებისმიერ წყლის ობიექტში</p>
	ნარჩენების მართვა	<p>(a) ნარჩენების შეგროვება, მისი გადატანის მარშრუტებისა და განთავსების ადგილების განსაზღვრა უნდა მოხდეს მშენებლობისა და დემონტაჟის შემდეგ წარმოქმნილი ძირითადი ნარჩენების ტიპების იდენტიფიცირების შემდეგ</p> <p>(b) მინერალური და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას</p> <p>(c) სამშენებლო ნარჩენები უნდა იქნას შეგროვებული და გადატანილი წინასწარ შეთანხმებულ ადგილას</p> <p>(d) ტერიტორიიდან ნარჩენების გატანის თაობაზე აუცილებელია ჩანაწერების წარმოება</p> <p>(e) შესაძლებელია კონტრაქტორმა განმეორებით გამოიყენონ და გადაამუშაონ სათანადო მასალები (გარდა აზბესტისა)</p> <p>(f) ნარჩენების ღიად დაწვა სამშენებლო ტერიტორიაზე არის აკრძალული.</p>

	<p>მასალების მიწოდება</p>	<p>a) მშენებლობისას უნდა იქნეს გამოყენებული მასალები მოწოდებული იმ არსებული ქარხნებიდან, კარიერებიდან და მალაროებიდან, რომელთაც აქვთ მოქმედი ლიცენზიები.</p> <p>b) იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი მონდომებს ახალი კარიერების გახსნას ის ვალდებულია მიიღოს აღნიშნული მასალების მოპოვების ლიცენზია</p> <p>c) უნდა მოხდეს კარიერებისა და მალაროების პირვანდელ მდგომარეობის აღდგენა, მას შემდეგ რაც წიაღისეული მოპოვების სამუშაოების დასრულება და ლიცენზიას ვადა გაუვა.</p> <p>d) მასალების გადაზიდვა არ უნდა მოხდეს პიკი საათებში.</p> <p>e) ხის მასალების მიწოდებისთვის საჭიროა ლიცენზიის მოპოვება.</p> <p>f) კონტრაქტორი ვალდებულია მუნიციპალური განვითარების ფონდს წარუდგინოს ყველა საჭირო ლიცენზია, ნებართვა, წერილობითი ხელშეკრულება, სერთიფიკატი ყველა მასალის ლიცენზირებული მომწოდებლისგან შესყიდვის საბუთად.</p> <p>g) საავტომობილო მოძრაობისთვის განთავსდეს სიჩქარის მარეგულირებელი და გამაფრთხილებელი ნიშნები.</p>
<p>H სატრანსპორტო მოძრაობისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობის პირდაპირი ან არაპირდაპირი სახიფათო ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>(a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ▪ სამშენებლო ტერიტორია უნდა იყოს შემოსაზღვრული და სათანადოდ დაცული უცხო პირთა (განსაკუთრებით ბავშვების) შესვლის თავიდან ასაცილებლად. ▪ უნდა დამონტაჟდეს გარე განათებები და სათანადოდ განმარტებული უსაფრთხოების ნიშნები; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობისგანრიგთან მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან საქონლის გადაადგილების საათებში

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი?	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი?	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მომწოდებლის კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება, როგორც სამუშაო ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

	მარშრუტების დაცვა.				ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება	
ინერტული მასალების წყარო	<p>მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია;</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p> <p>კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება;</p> <p>მდინარეში ქვიშა-ხრეშის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია</p>	კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	<p>ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია;</p> <p>სედიმენტები თ წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტთა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.</p>	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი

	მანქანების შესვლა წყლის ნაკადში. სამშენებლო მანქანა-დანადგარების რეცხვა უნდა მოხდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, რათა არ დაბინძურდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული წყლის რესურსები.					
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხიელებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საოპერაციო ფაზა						
რეაბილიტურებ ული შენობის მოვლა- პატრონობის შედეგად ნარჩენების წარმოქმნა	მყარი ნარჩენების სათანადო მართვა	მუნიციპალიტე ტის ტერიტორია	ინსპექტირება	საზოგადოებრივი ცენტრის ფუნქციონირებით	მყარი ნარჩენებით დაბინძურები ს თავიდან აცილება	მესტიის მუნიციპალიტ ეტი

დანართი 1: ობიექტის მდებარეობა და სურათები



არსებული შენობის სურათები







საზაფხული ამფითეატრი








**ԿԱՏԱՐՈՅՑՔԱՏՐՈՒՄԻ ՕՂՆԵՐՈՐԾՈՒՄ ԿԱՑՈՒՆԵՐՈՒ
ԿԱՆԱԵՐՈՒ ՊՆՈՒՆԵՐՈՒ ԾԵՐՉԵՑՔՆԵՐՈՒ ԿԱՆՑՈՒՆԵՐՈՒ
ԿԱՆԱԿՆԵՐՈՒ ԾԻՅՑԻ**

ՈՐՄՈՒ ՃԱՏՁՈՒՄԻ ԿԱՆԱԿՆԵՐՈՒ ԺՐՈՒՑ: **42 06 05 184**
ՃԱՏՁԱՆՊՆՈՒՄԻ ՊՆՈՒՆԵՐՈՒՄԻ ՆՄՈՒՑՆԵՐ: **882011548354**
ՈՐՄՈՒ ՃԱՏՁՈՒՄԻ ՄԱՅՈՒՊՈՒՑ: **1548** Ճ.Բ.
ՊԱՆՈՒՆԵՐՈՒՄԻ: **ՃԱՏԱՆՎՈՐՔԱՏՐՈՒՄ ԿԱՏՐՈՒՆԵՐՈՒ**

ՌԵՊՐԵԶԵՆՏԱՆՏՈՒ ԾԱՆՈՒՑՈՒ

03.11.11



Նպաստող հայտարարության թվով 39, հայտարարության թվով 3.7. թվով 999.132.14.94.25. սպիտակ թվով 999.132.14.94.41. հայտարարության հարմարությունները: Նպաստող հայտարարության թվով 3

0000.000.001.00

დანართი 3: საჯარო განხილვის დოკუმენტაცია

23 დეკემბერი, 2015 წელი

მესტიის მუნიციპალიტეტი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე

პროექტი (RMIDP II)

დაბა მესტიაში ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრის

შენობის რეაბილიტაცია

ქვე-პროექტის გარემოს დაცვის მართვის გეგმის საჯარო განხილვა.

2015 წლის 22 დეკემბერს, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში გაიმართა ქვე-პროექტის „დაბა მესტიაში ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრის შენობის რეაბილიტაცია“ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენისა და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები: ქეთევან ხარძიანი, ნუკრი ნავერიანი, ნაირა ჯაფარიძე, იზა რატიანი, ხათუნა კახბერიძე, თამარ გომთელიანი, ეკა გვარდიანი, ლერი არღველიანი, ბექა მარგველანი, სოსო კვიციანი, ეკა ნაკანი, სალომე ფალიანი, თამუნა ნიგურიანი, უმფრიანი ა., მაია ფილფანი, ხატია წიკლაური, თეონა გომთელიანი, დევდარიანი ანი, რამაზ ფილფანი, გვანცა ჯაფარიძე, თეიმურაზ ნავერიანი, მარიამ ნავერიანი, ია გურჩიანი, თეა დევდარიანი, ნატო რატიანი, ბაქარ ფალიანი, მაია ნაკანი, მაკა გულედანი, ვენერა ფალიანი, ერეკლე ნაკანი, მაია სორდია, მალდანი ნესტანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები: მალხაზ ფალიანი, ცინდელიანი შორენა,

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ნინო პატარაშვილი - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;

ნინიკო ისაკაძე- გარემოს დაცვის სამსახურის შტატგარეშე სპეციალისტი.

მიხეილ წერეთელი- მონიტორინგის სამსახურის შტატგარეშე სპეციალისტი

შეხვედრა გახსნა ნინო პატარაშვილმა, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტმა და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდის, შეხვედრის მიზნებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების შესახებ. მან შეხვედრისას განიხილა ქვე-პროექტისათვის მომზადებული გარემოს დაცვის მართვის გეგმა. მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან აცილების ან შერბილებისთვის. აღნიშნა, რომ პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას და/ან რამე სახის შეთანხმებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, ამიტომ ყველა პროცედურა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამის უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტისთვის მომზადებული სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად.

ნინო პატარაშვილმა ისაუბრა გარემოს დაცვის მართვის გეგმის შინაარსსა და სტრუქტურაზე. მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მართვის გეგმით განსაზღვრული, სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენის, შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასევე, მიმოიხილა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და შესაბამისი ანგარიშგების პროცედურები და ამ პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი მხარეები.

ნინო პატარაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი

მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვითი და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრევენტივის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
როდის იგეგმება თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება?	საპროექტო მასალა მომზადებულია, თუმცა ტენდერი ჯერ არ გამოცხადებულა და მომავალი წლისთვის მოხდება სამშენებლო კომპანიის მობილიზაცია და სამშენებლო სამუშაოების დაწყება.
სად მოხდება საქვებისთვის განკუთვნილი შენობის განთავსება და განიხილება თუ არა სხვა ალტერნატივა?	თეატრის ჩრდილოეთ მხარეს იგეგმება საქვებისათვის 26,5მ ² ფართის მიშენება, ამ ეტაპზე სხვა ალტერნატივა არ განიხილება.

საჯარო შეხვედრაზე მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელმა მალხაზ ფალიანმა დასვა შეკითხვა თუ რამდენად მისაღებია უშბის ქუჩის გასწვრივ თეატრის შენობის ჩრდილოეთის მხარეს მინაშენის დამატება და ხომ არ გამოიწვევს ეს რაიმე სახის პრობლემებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მინაშენი საქვების განსათავსებლად მოეწყობა თეატრისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, რომელიც რეგისტრირებულია, როგორც მუნიციპალური საკუთრება, ამასთან პროექტი განხილული იქნა გამგეობის მიერ მოსახლეობასთან ერთად და ის აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცლის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის შტატგარეშე სპეციალისტის ნინიკო ისაკაძის მიერ.

23 დეკემბერი, 2015

ფოტოები:



დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტი




დაბა მესტიაში ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრის (მესტიის მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაცია

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა

22 დეკემბერი, 2015 წელი

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	ვინსენცი ვინსენცი	მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. მესტიაში	599-85-55-19	ვ. ვინსენცი
2.	ჩიკვაძე ბიძია	მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. მესტიაში	599-85-98-28	ჩ. ჩიკვაძე
3.	ნესო ნ. ვიქტორია	მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. მესტიაში	599-85-55-10	ნ. ვიქტორია
4.	ნათა ჯიქია	მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. მესტიაში	599855566	ნ. ჯიქია
5.	მარტინი შა	მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. მესტიაში	395226776	მ. მარტინი
6.	ბიჭუაძე ანტონი	მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. მესტიაში	599-85-55-44	ბ. ბიჭუაძე

7.	დღესასწაულებრივი	მედიკალიზაციის განყოფილება	551 644 117	
8.	თამბაქოს კონტროლი	მედიკალიზაციის განყოფილება	595 555 25	მ. ჯანაშია
9.	საპატენტო სამსახური	საპატენტო სამსახური	595 322332	მ. მამუკაძე
10.	საგარეო ურთიერთობების განყოფილება	საგარეო ურთიერთობების განყოფილება	595 471 459	მ. მამუკაძე
11.	მედიკალიზაციის განყოფილება	მედიკალიზაციის განყოფილება	595 95 73-41	
12.	საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება	საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება	551 09 5779	
13.	საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება	საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება	595-33-04-06	მ. მამუკაძე
14.	საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება	საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება	595-08-95-23	მ. მამუკაძე
15.	თამბაქოს კონტროლი	მედიკალიზაციის განყოფილება	598 68 86 85	მ. მამუკაძე
16.	საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება	საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება	595 330393	მ. მამუკაძე

7.	Անիթը շինարար	Կապիտալ շինարարական նախագիշ	595 330 375	Թ. Շինարար
8.	Ժամը զբոսաբեր	Վերականգնողական ձեռնարկի թիվ 1577	595-08-95-54	Ժ. զբոսաբեր
9.	Երևան Երևանյան	Վերականգնողական ձեռնարկի թիվ 1577	595 08 95 50	Թ. զբոսաբեր
10.	Վերականգնողական	Վերականգնողական ձեռնարկի թիվ 1577	595 - 383 - 222	Թ.
11.	Վերականգնողական	Վերականգնողական ձեռնարկի թիվ 1577	551-20-00-03	Թ.
12.	Կապիտալ շինարար	Կապիտալ շինարարական նախագիշ	577-14-24-16	Թ.
13.	Վերականգնողական	Վերականգնողական ձեռնարկի թիվ 1577	595-08-95-22	Թ.
14.	Վերականգնողական	Վերականգնողական ձեռնարկի թիվ 1577	599 85-55-51	Թ.
15.	Վերականգնողական	Վերականգնողական ձեռնարկի թիվ 1577	591-202-109	Թ.
16.	Կապիտալ շինարար	Կապիտալ շինարարական նախագիշ	551-58-59-13	Թ.
17.	Վերականգնողական	Վերականգնողական ձեռնարկի թիվ 1577	595-08-95-52	Թ.

17.	ବିଜ୍ଞାନ ବିଭାଗ	ବିଜ୍ଞାନ ବିଭାଗ ପଞ୍ଚମ ଶ୍ରେଣୀ	599-18-74-22	ଡ. ବିଜ୍ଞାନ
18.	ଅନ୍ୟ ବିଭାଗ	ଅନ୍ୟ ବିଭାଗ ପଞ୍ଚମ ଶ୍ରେଣୀ	591-118-047	ଡ. ଅନ୍ୟ
19.	ଅନ୍ୟ ବିଭାଗ	ବିଜ୍ଞାନ ବିଭାଗ ପଞ୍ଚମ ଶ୍ରେଣୀ	599-85-55-24	ଡ. ଅନ୍ୟ
20.	ଅନ୍ୟ ବିଭାଗ	ବିଜ୍ଞାନ ବିଭାଗ ପଞ୍ଚମ ଶ୍ରେଣୀ	559-09-02-68	ଡ. ଅନ୍ୟ
21.	ଅନ୍ୟ ବିଭାଗ	ବିଜ୍ଞାନ ବିଭାଗ ପଞ୍ଚମ ଶ୍ରେଣୀ	595-099524	ଡ. ଅନ୍ୟ
22.	ଅନ୍ୟ ବିଭାଗ	ବିଜ୍ଞାନ ବିଭାଗ ପଞ୍ଚମ ଶ୍ରେଣୀ	555-46-32-09	ଡ. ଅନ୍ୟ
23.	ଅନ୍ୟ ବିଭାଗ	ବିଜ୍ଞାନ ବିଭାଗ ପଞ୍ଚମ ଶ୍ରେଣୀ	551-11-87-76	ଡ. ଅନ୍ୟ
24.	ଅନ୍ୟ ବିଭାଗ	ବିଜ୍ଞାନ ବିଭାଗ ପଞ୍ଚମ ଶ୍ରେଣୀ	595-08-05-57	ଡ. ଅନ୍ୟ
25.	ଅନ୍ୟ ବିଭାଗ	ବିଜ୍ଞାନ ବିଭାଗ ପଞ୍ଚମ ଶ୍ରେଣୀ	595-05-79-06	ଡ. ଅନ୍ୟ

დანართი 4. შეთანხმება ნარჩენების განთავსებაზე

